ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243411178**
თარიღი: **06/12/2024**

ადრესატი: გიორგი სარიშვილი
პირადი ნომერი: 01008052060
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 16, ბინა 48

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ,,ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების საფუძველზე, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. დაგმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს №16-01242422850 გადაწყვეტილებაში (განცხადების რეგისტრაციის №QN11053626) ცვლილების შეტანის შესახებ და დროებითი ღობის განთავსება განხორციელდეს ამ გადაწყვეტილების დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, მწვანე ნარგავების და ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით / მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში.

2. აქტი ძალაშია №16-01242422850 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი